პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

 კვირა, 22 აგვისტო, 1943 წ. № 177 (6802). ფასი 20 კაპ.

ვამზადოთ მრეწველობისა და ტრანსპორტის კვალიფიციური შრომითი რეზერვები

მრეწველობისა და ტრანსპორტის წინაშე სამამულო ომმა ახალი, უაღრესად სერიოზული ამოცანები დააყენა. სოციალისტური ინდუსტრია, რკინიგზის ტრანსპორტი წარმატებით ასრულებენ ფრონტისა და ჩვენი ქვეყნის შეკვეთებს, წითელ არმიას ამარაგებენ ყოველივე იმით, რაც საჭიროა გერმანელ ოკუპანტებზე გამარჯვებისათვის. მაგრამ მრეწველობის შემდგომი განვითარება, შრომის ნაყოფიერების ამაღლება, პროდუქციის გამოშვების გადიდება მოითხოვს შევქმნათ კვალიფიციურ მუშათა ახალი კადრები, აღვზარდოთ ისინი ორგანიზებულად და გეგმიანად.

მუშათა ახალი შევსების მომზადების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შრომითი რეზერვების სახელოსნო, რკინიგზის სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების ენერგიულ მუშაობას. ისინი ჩვენი მრეწველობისა და რკინიგზის ტრანსპორტისათვის ამზადებენ კვალიფიციურ შრომითს რეზერვებს, წარმოების როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად მცოდნე ახალგაზრდა კადრებს.

მუშათა ამ ახალი კვალიფიციური შევსების მომზადება, რომელიც თვით სწავლების პროცესში გარკვეულ დაკვეთებს ასრულებს, საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სამმართველოსგან მოითხოვს ენერგიულ, ოპერატიულ, გეგმიან მუშაობას, ყოველდღიურ კონკრეტულ ხელმძღვანელობას სახელოსნოების, სასწავლებლებისა და სკოლებისადმი. დაკისრებული სპატიო მოვალეობის სრული შეგნება, პასუხისმგებლობა მინდობილი უბნისადმი სახელოსნოების, რკინიგზის სასწავლებლებისა და სკოლების დირექტორებს, სასწავლო-საწარმოო ნაწილთა გამგეებს, ოსტატებს, მასწავლებლებს უკარნახებს სანიმუშოდ დააყენონ კვალიფიციური შრომითი რეზერვების მომზადების საქმე. ამას მოითხოვს ჩვენი მრეწველობის, ჩვენი ქვეყნის ინტერესები.

ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობით შრომითი რეზერვების სასწავლებლებს, სკოლებს, სახელოსნოებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი ნაყოფიერი მუშაობისათვის. ორნახევარი წლის არსებობის მანძილზე საბჭოთა კავშირის შრომითი რეზერვების ქსელმა ასეულ ათასობით ახალგაზრდა კვალიფიციური მუშახელი მოამზადა. საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა ბევრი სასწავლებელი, რომლებსაც მიენიჭათ „საუკეთესო სახელოსნო სასწავლებლის“, „საუკეთესო რკინიგზის სასწავლებლის“, „საფაბრიკო-საქარხნო სწავლების საუკეთესო სკოლის“ სახელწოდებანი. გადაეცათ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და მიეცათ ფულადი პრემიები. შეჯიბრებაში წარმატებები მოიპოვეს ჩვენი რესპუბლიკის ბევრმა სახელოსნომ, სკოლამ, სასწავლებელმა. ესეთია, მაგალითად, სახელოსნო სასწავლებელი № 5 (დირექტორი ამხ. ნაცვლიშვილი), № 2 (ამხ. ლოლაძე), რკინიგზის სასწავლებელი № 1 (დირექტორი ამხ. ყურაშვილი), საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლა № 4 (დირექტორი ამხ. ნიკურაძე) და მრავალი სხვა. მაგრამ ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ არა მარტო შევინარჩუნოთ ეს წარმატებები, არამედ განვამტკიცოთ ისინი და მოვიპოვოთ ახალი გამარჯვებები.

მიღწევებთან ერთად, შრომითი რეზერვების მომზადებაში არის ნაკლოვანებებიც. ზოგან სათანადო სიმაღლეზე არ დგას საწარმო-საწარმოო სწავლება. ჯგუფები სწორად არ არის დაკომპლექტებული, მაგალითად, მე-15 და მე-3 სახელოსნო სასწავლებლებში. ზოგიერთი ჯგუფის მოსწავლეები ისე არიან განაწილებული სხვადასხვა საწარმოებში, რომ ოსტატებს საშუალება არა აქვთ სისტემატური კონტროლი და ხელმძღვანელობა განახორციელონ მათზე. ბოლო უნდა მოეღოს მოსწავლეთა ხშირ გადაყვან-გადმოყვანას ჯგუფებში. თეორიული სწავლება ყველგან მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული საწარმოო სწავლებასთან. ამ მხრივ ბევრი რამ არის დამოკიდებული მეთოდური თათბირების სწორ ორგანიზაციაზე, მეთოდბიუროებისა და სასაგნო კომისიების გეგმიან მუშაობაზე.

საწარმოო სწავლებისათვის ფაბრიკა-ქარხნებში, რკინიგზის ტრანსპორტზე, მაღაროებსა და მახტებში გაგზავნილ მოსწავლეებს ყოველმხრივი დახმარება და მზრუნველობა უნდა აღმოეჩინოთ. ეს პირდაპირ ეხება საწარმოთა დირექტორებს, ადგილობრივ პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს. რამდენი მაგალითის მოტანა შეიძლება იმის ნათელსაყოფად, თუ რა წარმატებით მუშაობენ საწარმოებში როგორც დამოუკიდებლად მომუშავე, ისე სწავლებისათვის გაგზავნილი შრომითი რეზერვები. ბევრი კურსდამთავრებული ომიანობის დროის სტახანოველი გახდა. ისინი გეგმებს 200-300 და მეტი პროცენტით ასრულებენ. საჭიროა საწარმოებში და ტრანსპორტზე შრომითი რეზერვების სკოლებიდან მოსულ ახალგაზრდა კადრებს შევუქმნათ ნაყოფიერი მუშაობის ყველა პირობა, შემდგომ გავაუმჯობესოთ მათი საყოფაცხოვრებო პირობები და გავაძლიეროთ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა.

ერთ-ერთი სერიოზული საკითხია სკოლებში მოწყობილობის მოვლა. სახელოსნოებში, სასწავლებლებსა და სკოლებში სანიმუშო დამოკიდებულება უნდა იყოს მანქანა-იარაღებისადმი, არ უნდა ცდებოდეს არც ერთი დაზგა, მაღალხარისხოვნად ტარდებოდეს მოწყობილობის რემონტი, რათა განუწყვეტლივ მატულობდეს მათ მიერ პროდუქციის გამოშვება.

საჭიროა მოსწავლეთა შორის სათანადოდ იყოს გაშლილი მასობრივ-პოლიტიკური, მუშაობა. ადგილობრივი კომკავშირული ორგანიზაციები ფართო ინიციატივას უნდა იჩენდნენ, თუ უკეთესად როგორ შეიძლება დავაყენოთ შრომითი რეზერვების სკოლების მუშაობა, როგორ გავაუმჯობესოთ ფიზკულტურული აღზრდა, მოსწავლეთა სამხედრო სწავლება, აგიტაციო-პროპაგანდა, ძირეული პრესის საქმიანობა, უკეთესად გამოვიყენოთ რადიო, მხატვრული თვითმოქმედი წრეები, დავიცვათ სანიმუშო დისციპლინა და სისუფთავე საერთო საცხოვრებლებში, სასადილოებში. საჭიროა განვახორციელოთ ამას წინათ თბილისში შემდგარი სახელოსნო, რკინიგზის სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების ფრიადოსან მოსწავლეთა პირველი კონფერენციის დადგენილება, რომელიც მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისაკენ არის მიმართული.

მზრუნველობით აღვზარდოთ და მოვამზადოთ კვალიფიციური შრომითი რეზერვები,—ასეთია ამოცანა!

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. რ. ა. კვირკველიას საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრის მოვალეობისა გან განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს ამხ. რაფიელ არტემის-ძე კვირკველია საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრის მოვალეობისაგან მისი სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. სტურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

1943 წ. 21 აგვისტო, ქ. თბილისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ი. ფ. თავაძის საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. ილია ყაისარის-ძე თავაძე, საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. სტურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

1943 წ. 21 აგვისტო, ქ. თბილისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ზ. ნ. კეცხოველის საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

განთავისუფლდეს საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ზაქარია ნიკოლოზის-ძე კეცხოველი საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. სტურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

1943 წ. 21 აგვისტო. ქ. თბილისი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. რ. ა. კვირკველიას საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. რაფიელ არტემის-ძე კვირკველია საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. სტურუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

1943 წ. 21 აგვისტო. ქ. თბილისი.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. მაქსიმ მაქსიმეს-ძე ლიტვინოვი გათავისუფლა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ამერიკის შეერთებულ შტატებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ანდრიას ანდრიას-ძე გრომიკო დანიშნა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ამერიკის შეერთებულ შტატებში.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

21 აგვისტოს ოპერაციული ცნობა

21 აგვისტოს განმავლობაში ჩვენი ჯარები ხარკოვის მიმართულებით, სძლევდნენ რა მტრის წინააღმდეგობასა და კონტრიერიშებს, განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

ბრიანსკის მიმართულებით და სპას-დემენსკის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რაიონში ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ თავიანთი პოზიციების გასაუმჯობესებლად.

დონბასში, ვოროშილოვგრადის სამხრეთ-დასავლეთით, ჩვენი ჯარები ადგილობრივი მნიშვნელობის წარმატებითს ბრძოლებს ეწეოდნენ.

20 აგვისტოს განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაუზიანეს და მოსპეს გერმანელთა 129 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 86 თვითმფრინავი.

* * *

ხარკოვის მიმართულებით ჩვენი ჯარები, სძლევდნენ რა მტრის წინააღმდეგობას და იგერიებდნენ რა მის კონტრიერიშებს, განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს.

ხარკოვის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა წინ წაიწიეს და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ამ პუნქტებისათვის ბრძოლებში მტერს დიდი ზარალი მოუვიდა. მარტო 6 შენაერთის ნაწილებმა მოსპეს 1.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დაზიანეს და დასწვეს 8 ტანკი და 3 თვითმავალი ქვემეხი. სხვა უბანზე ჩვენმა მებრძოლებმა გერმანელები განდევნეს ძლიერ გამაგრებული პოზიციებიდან და ხელთ იგდეს 27 ქვემეხი, მათ შორის 2 შორმსროლელი, 90 ტყვიამფრქვევი, საომარი მასალის საწყობი და სხვა დავლა.

ხარკოვის დასავლეთით მტერმა ახალი ძალები მოიყვანა და ძლიერი კონტრიერიშებში მოიტანა. გაჩაღდა გაფთრებული ბრძოლები, რომელთა მსვლელობაშიც ჩვენმა ჯარებმა დაუზიანეს და დასწვეს გერმანელთა 40-მდე ტანკი და გასწყვიტეს 1.200 ჰიტლერელი. 6 შენაერთის მებრძოლებმა გადამწყვეტი იერიშით უკუაგდეს მტერი და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს.

საბჭოთა უკრაინის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში ჩვენი მებრძოლები და ოფიცრები თავდადებულ გულადობასა და მამაცობას იჩენენ. ქვემეხის მემიზნემ ამხ. ალიოშინმა ერთ ბრძოლაში დაუზიანა გერმანელთა მძიმე „ვეფხვი“, 2 საშუალო ტანკი და თვითმავალი ზარბაზანი. საცეცხლე ოცეულის მეთაურმა ლეიტენანტმა ამხ. დვორეცკიმ მემიზნე ამხ. აზაროვთან ერთად მოსპო გერმანელთა 3 საშუალო ტანკი და 2 ავტომანქანა გერმანელთა ქვეით ჯარისაგან. წითელარმიელი ამხ. ივიშნეკოვ მტრის სანგრებში შეიჭრა და მოჰკლა გერმანელი ოფიცერი და 3 ჯარისკაცი. წითელარმიელმა ამხ. ბაევმა, სდევნდა რა უკან-დახეულ გერმანელებს, ხელჩართულ შეტაკებაში 5 ჰიტლერელი მოსპო.

* * *

ბრიანსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ თავიანთი პოზიციების გასაუმჯობესებლად. ერთ უბანზე გერმანელებმა კონტრიერიშში მოიტანეს. იმ ქვეგანაყოფის მესანგრეებმა, რომლის მეთაურიც არის ლეიტენანტი პოვალიაევი, მტრის ცეცხლქვეშ დანაღმეს გზა. ჩაწყობილ ნაღმებზე აფეთქდა გერმანელთა ექვსი ტანკი. ჰიტლერელთა კონტრიერიშში ჩაიფუშა. სხვა უბანზე 6 საკავალერიო ნაწილი სწრაფი ნახტომით მტრის დასაყრდენ პუნქტში შეიჭრა და ხანმოკლე შეტაკების შემდეგ დაიკავა იგი. კავალერისტებმა მოსპეს ერთ ასეულამდე ჰიტლერელი.

სპას-დემენსკის სამხრეთ-დასავლეთით გერმანელებმა რეზერვები მოიშველიეს და კონტრიერიშებით ცდილობენ შეაჩერონ ჩვენი ჯარების შეტევა. 6 შენაერთის მებრძოლებმა ჰიტლერელთა გაფთრებული კონტრიერიშების მოგერიებისას მტერს მძიმე ზარალი მიაყენეს. დღის განმავლობაში მოსპობილია 2.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დაზიანებულია მტრის 5 ტანკი, დამტვრეულია 10 თვითმავალი და 10 საველე ქვემეხი, მოსპობილია 9 სანალმმტყორცნო ბატარეა და 60 ტყვიამფრქვევი. ერთ უბანზე წითელარმიელები ამხ. ბულანჩიკოვი, შუდალოვი და ბარანიკოვი გერმანელთა ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანს მიეპარნენ და გასწყვიტეს მისი გუნდი, ჩვენმა მებრძოლებმა წართმეული ქვემეხი გერმანელების წინააღმდეგ მიაბრუნეს, მტრის ქვეითს ჯარს დაუშინეს და სერიოზული ზარალი მიაყენეს.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენი ქვეითი ჯარის ქვეგანაყოფებმა მტრის 400-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი გასწყვიტეს. არტილერიის ცეცხლით დაზიანებულია გერმანელთა მძიმე ტანკი, მოსპობილია 3 სანალმმტყორცნო ბატარეა და 7 ქვემეხი, დანგრეულია მტრის 25 ძელმწყური საცეცხლე წერტი და 8 ბლინდაჟი. მტრის ქვეითი ჯარის რაზმი ცდილობდა მოახლოვებოდა 6 ქვეგანაყოფის პოზიციებს. წითელარმიელებმა ამხ. ესიკოვმა და სიტნიკოვმა, რომლებიც საბრძოლო დაცვაში იმყოფებოდნენ, დროზე შეამჩნიეს ჰიტლერელები. ქვეგანაყოფის მებრძოლებმა ტყვიამფრქვევის ცეცხლით დახოცეს მტრის 80-მდე ჯარისკაცი. დანარჩენმა ჰიტლერელებმა სასწრაფოდ დაიხიეს უკან.

* * *

მინსკის ოლქში მოქმედი ბელორუსთა რამდენიმე პარტიზანული რაზმი 11 აგვისტოს ღამით ერთსა და იმავე დროს თავს დაესხა გზატკეცილის ფართო უბანს. დაზვერვის ცნობებით, ამ გზაზე შემჩნეული იყო გერმანელთა ავტომანქანების გაძლიერებული მოძრაობა. ღამის განმავლობაში პარტიზანებმა ააფეთქეს 67 რკინაბეტონისა და ხის ხიდი. მინსკელ პარტიზანთა ჯგუფმა შეუმჩნევლად შეაღწია რკინიგზის დიდ სადგურში და აფეთქა გერმანელთა ეშელონი საწვავიანად. გაჩენილი ხანძარი მალე მოედო სხვა ეშელონებს. დაიწვა 500 ტონა ბენზინი და მტრის რამდენიმე სამხედრო შემადგენლობა. მატარებლების მოძრაობა რკინიგზის ამ უბანზე შეწყვეტილი იყო რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში.

* * *

წითელი არმიის მხარეზე გადმოსულმა გერმანელთა მეორ სატანკო დივიზიის უნტერფოფიცერმა პორსტ ლ-მ განაცხადა: „ივლისში გერმანელთა სარდლობამ ბრძოლაში გამოიყვანა გერმანიის სამხედრო ტექნიკის ახალი გამოგონებანი—ტანკები „ვეფხვი“ და თვითმაგალი ქვემეხები „ფერდინანდი“. ყველანი სავსებით იყვნენ დარწმუნებულნი, რომ ეს ტანკები და ქვემეხები რუსთა თავდაცვას გაანადგურებდნენ და გერმანელთა ქვეითს ჯარს გზას გაუკაფავდნენ მოსკოვისაკენ. მაგრამ „ვეფხვებმა“ და „ფერდინანდებმა“ არ გამართლეს მათზე დამყარებული იმედი და გერმანელთა შეტევა ჩაიშალა, გერმანელ ჯარისკაცებს აოცებს რუსთა ქვეითი ჯარის ტექნიკური აღჭურვილობა. ჩვენში შეიქმნა მთაბეჭდილება, რომ ყოველ მეორე რუს ჯარისკაცზე ერთი ავტომატი მოდის, ხოლო ტანკები და თვითმფრინავები რუსებს ახლა მეტი აქვთ, ვიდრე ომის დასაწყისში ჰქონდათ. ტექნიკის ეს უდიდესი რაოდენობა შიშსა ჰგვრის გერმანელ ჯარისკაცებს“.

გერმანელ ფაშისტთა ჯარების ზარალი საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე 5 ივლისიდან 20 აგვისტომდე განვლილ ხანში

ზაფხულის ბრძოლების განმავლობაში ა. წ. 5 ივლისიდან 20 აგვისტომდე ჩვენმა ჯარებმა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის ყველა უბანზე **მოსპეს:** მტრის თვითმფრინავები—4.600, ტანკები—6.400, ქვემეხები—3.800, ავტომანქანები—20.000-ზე მეტი.

მტრის ზარალი მოკლულთა სახით შეადგენს 300.000-ზე მეტ ჯარისკაცსა და ოფიცერს. ვიღებთ რა მხედველობაში, რომ გერმანელ ფაშისტთა არმიაში დაჭრილ ჯარისკაცთა და ოფიცერთა რაოდენობა მოკლულთა რაოდენობას სულ მცირე ორ-ორნახევარჯერ აღემატება, უნდა ვიანგარიშოთ, რომ გერმანელთა ზარალი მოკლულთა და დაჭრილთა სახით 5 ივლისიდან 20 აგვისტომდე წარმოებულ ბრძოლებში სულ მცირე 1.000.000 ჯარისკაცსა და ოფიცერს შეადგენს.

ამავე ხნის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა **ხელთ იგდეს:** ტანკები—857, სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, მათ შორის თვითმავალი ქვემეხები, —1.274, ტყვიამფრქვევები—3.429, ავტომანქანები—4.230. ტყვედ **წამოყვანილია** 25.600 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო

პარტიზანი ბ. ფალახაძე

გაზეთ „იზვესტიას“ ა. წ. 18 აგვისტოს ნომერში მოთავსებულია „იზვესტიას“ სპეციალური კორესპონდენტის ანატოლი შაინის წერილი „ფრონტის ხაზის გადაღმა“. ამ წერილში, რომელსაც იგი მტრის ზურგიდან იწერება, ამბობ. ა. შაინი მოგვითხრობს ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის, პარტიზან გიორგი ერმალოზის-ძე ტალახაძის გმირულ და შეუპოვარ ბრძოლაზე.

ამბ. შაინს გიორგი ტალახაძის ამბავი უამბო პარტიზანმა—მეჯინიბემ ივანე პ-მ.

„გვყავდა ჩვენ ქართველი მეტყვიამფრქვევე გიორგი ტალახაძე,—ამბობს ივანე პ.,—ცეცხლივით ბიჭი იყო, გამბედავი, მოხერხებული. უფროსი სერჟანტის წოდება ჰქონდა. გერმანელთა ტყვეობიდან ჩვენს რაზმში მოხვდა. არავისი არ ეშინოდა. ერთი სოფლის მახლობლად თავს დაგვესხა ორი გერმანული მოიერიში თვითმფრინავი. გარშემო ტრიალი მინდორია. ცხენოსნები ჩამოვიდნენ ცხენებიდან, ტალახაძე კი აინუნშიც არ აგდებს. ზის ცხენზე, უშენს ავტომატს, მუშტებს ეღერებს მფრინავებს... ჩამოვაგდეთ ერთი თვითმფრინავი, მეორე კი სწრაფად ავიდა მაღლა და ღრუბლებში მიიმალა. ბრძოლებში ტალახაძემ ყველაზე მეტი გერმანელები დახოცა. კარგი მეავტომატე და მეტყვიამფრქვევე იყო...

...ისეთი გული ჰქონდა,—განაგრძო მეჯინიბემ ტალახაძის ამბავი,—ამხანაგისათვის ცეცხლსა და წყალში გადავარდებოდა, უკანასკნელ თამბაქოს გაუყოფდა ამხანაგს. მეგობარს თავს გადაგებდა. გერმანელები კი მეტისმეტად სძულდა. გერმანელის ხელითაც დაიღუპა. ერთ ადგილას ჩვენ გერმანელთა გარნიზონს ვანადგურებდით. გიორგი გამოუდგა ოფიცერს, ტყვედ წამოყვანა უნდოდა, ოფიცერმა კი მას ცხენი მოუკლა. სხვა მის ადგილას უკან გამობრუნდებოდა, ტალახაძე კი ფეხით გამოუდგა, სდია, სდია, შემდეგ დაეცა. ჩვენ მივცვივდით, მაგრამ ტალახაძე უკვე მკვდარი იყო, ავტომატის დისკოში აღარც ერთი ვაზნა აღარ დარჩენოდა...“

პარტიზანი გიორგი ერმალოზის-ძე ტალახაძე ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით.

ხარკოვის ჩრდილო-დასავლეთით

რაც უფრო ღრმად მიიწევენ წითელი არმიის ნაწილები დასავლეთისაკენ, მით უფრო გაფთრებული ხდება გერმანელთა წინააღმდეგობა და მით უფრო შეუპოვრად ამსხვრევენ გერმანელთა თავდაცვას ჩვენი სახელოვანი მეომრები.

„კრასნაია ზვეზდას“ კორესპონდენტი იუწყება:

ცხარე ბრძოლები სწარმოებს ხარკოვის ჩრდილო-დასავლეთით. 6 შენაერთის ნაწილებმა, რომლებიც აქ უტევენ, საგრძნობი დარტყმები აგემეს მოწინააღმდეგეს, შეაღწიეს იგი და დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები, მათ შორის ქალაქი ლებედინი.

ეყრდნობოდნენ რა ფაქტს ზღუდეებს, გერმანელები შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდნენ და ცდილობდნენ რადაც უნდა დასჯდომოდათ შეენარჩუნებინათ ლებედინი. ყოველ ჩენს იერიშს მოწინააღმდეგე გაფთრებული კონტრიერიშით უპასუხებდა. მაგრამ, თუმცა გერმანელებს მნიშვნელოვანი ძალები ჰყავდათ, ჰქონდათ ბევრი ტანკი და კარგად მომზადებული თავდაცვა, მათ მაინც ვერ მოახერხეს შეეჩერებინათ ჩვენი წაწილების შეტევა. მტერი უკუგდებულ იქნა და დიდი ზარალი განიცადა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

„ჰიტლერელები განსაკუთრებით ფართოდ იყენებენ ეგრეთ წოდებულ „სიურპრიზ-ნაღმებს“.—სწერს „კრასნაია ზვეზდაში“ გვარდიის მაიორი ლუბიმოვი.

შეტევითი ოპერაციების დროის განმავლობაში საინჟინრო ნაწილებმა მეტად მრავალნაირი ასეთი სიურპრიზები აღმოაჩინეს.

მტრის მიწურის შესასვლელში ფიცრულ საფეხურს ქვეშ დადგმული იყო ფუგასი. საქმარისი იყო საფეხურზე ფეხის დადგმა, რომ აფეთქება მომხდარიყო. თავშესაფრის კართან დევს ტომარა, რომელიც მავთულით შეერთებულია ნაღმთან. ტომარას რომ ხელი ახლო, ნაღმი დაუყოვნებლივ აფეთქდება. საცხოვრებელ სახლში 10-კილოგრამიანი ფუგასი დადგმულია კვამლის მილში. აფეთქება მოხდებოდა, ღუმელში ცეცხლი რომ დაენთოთ. შენობაში, სადაც წინათ მოწინააღმდეგის შტაბი იდგა, გერმანელებს მაგიდაზე დაუტოვებიათ წიგნი, რომელიც მავთულით შეერთებული იყო მიწასთან. მაგიდიდან წიგნი რომ აიღო, ნაღმი მაშინვე აფეთქდება. ერთ მიწურში გერმანელებს დაუტოვებიათ რკინის ღუმელი, რომელსაც მოცელილი ჰქონდა მილი. ეს მილი თავის ადგილზე რომ მოეგო, აფეთქება მოხდება. ერთ-ერთ გზაზე დასახლებული პუნქტის განაპირას გერმანელებს დაუტოვებიათ სამხედრო ქონებით დატვირთული საზიდარი. რომელსაც გადაფარებული ჰქონდა ბრეზენტი. ბრეზენტის მოხსნას თუ დააპირებდი, 20-კილოგრამიანი ფუგასი აფეთქებდა. რამდენიმე დაზიანებული ტანკი აგრეთვე დანაღმული იყო. თუ ტანკში შეხვიდოდი ან მას ბუქსირზე აყვანას დაუპირებდი, აფეთქება უნდა მომხდარიყო. ისევე როგორც წინათ, გერმანელები კვლავ ნაღმავენ თავიანთ ჯარისკაცთა და ოფიცერთა გვამებს.

ამხ. ნ. დ. ბაბლიძის დაჯილდოება

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ დაჯილდოებულია საინტენდანტო სამსახურის უფროსი ლეიტენანტი ნიკოლოზ დავითის-ძე **ბაბლიძე.**

ორგანიზებულად ავიღოთ უხვი მოსავალი

აღვკვეთოთ ნაკლოვანებანი პურეულის მიმღებ პუნქტში

ქარელი („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ქარელის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობები ურყევად ასრულებენ პირველ მცენებს—პირველ განალეულ პურეულს სახელმწიფოს აბარებენ. მიმღებ პუნქტში, სადაც დირექტორად არის ამხ. ი. ქერეჯაშვილი, პურის მიღება ადრე დილიდან ხშირად ღამის პირველ საათამდე გრძელდება. ზოგჯერ ერთდროულად მოდის მარცვლეულიან დატვირთული 30-50-მდე ურემი. აქ ჯითიანთ მარცვლეულის მიღება სწარმოებს ჯიშების მიხედვით ცალცალკე განყოფილებებში (სათესლედ), სასაქონლოსი კი—ერთად. ეს მდგომარეობა განსაკუთრებით ზრდის პუნქტის მუშაკთა პასუხისმგებლობას ჯიშთა სისუფთავის დაცვისა და მისი უვნებლად შენახვის უზრუნველყოფისათვის. მაგრამ როგორც პუნქტი, ისე მისი განყოფილება (გამგე ამხ. ვ. ჩუტკერაშვილი) თავისი ამოცანის შესრულებაში ჩამორჩენილია. ხელმძღვანელებმა ვერ უზრუნველჰყვეს მარცვლეულის მისაღებად საჭირო საწყობების როგორც გამართვა, ისე მიღებული პურეულის დანიშნულებისამებრ დროზე გადაგზავნა. ამის შედეგია, რომ ამჟამად აქ უკვე აღარ არის სათანადო ადგილი წითელი და თეთრი დოლის პურის მისაღებად. მარცვლეულის გადასაზიდად აგვისტოში აუთვისებელი აქვთ 6 ვაგონი, ამავე დროს დამატებით საჭიროა 15 ვაგონზე მეტი, რომ საწყობი ნაწილობრივ მაინც განიტვირთოს. თავის დროზე ზომების მიუღებლობის გამო მარცვლეულს მიღება სწარმოებს მხოლოდ ორ სასწორზე. ნაცვლად 5-6 სასწორისა.

მუშაობა სხვა მიზეზებითაც ფერხდება. ჩვეულებრივად მარცვლეულის მიღება დილის 8 საათიდან ღამის 12 საათამდე უნდა სწარმოებდეს, მაგრამ ამ წესს ზუსტად არ იცავენ. 12 აგვისტოს, ღამის 10 საათზე, როცა სოფ. თამარაშენის კოლმეურნეობამ ჩასაბარებელი მარცვლეული მოიტანა, საწყობის გამგე ვლ. ჩუტკერაშვილი ადგილზე არ აღმოჩნდა. ამავე მიზეზით სოფ. მოხისის კოლმეურნეობის მარცვლეულის მიღებაც გაჭიანურეს.

მარცვლეულის ჩაბარებაში ნაკლოვანებებს ადგილი აქვს იმ მხრივაც, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში სასწორები შეუმოწმებელი და დაუდასტურებელი. ამაზე ალბათ ზოგან საწონები არ გააჩნიათ (სოფ. რუისი, წყალტუბო, ბოლო). ეს ხშირად გაუგებრობას იწვევს და ხელს უწყობს ბოროტმოქმედებას.

ზოგიერთი კოლმეურნეობა სათანადოდ არ ასუფთავებს ჩასაბარებელ პურეულს, არღვევს მარცვლეულის ხარისხს. სოფ. ბებნისის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ 15 აგვისტოს აქ მიიტანა მიწიანი და არაკონდიციური 6 ურემი მარცვლეული. ორი კვირის წინათ 7 ურემი ასეთივე მარცვლეული მოიტანა სოფ. ურბნისის კოლმეურნეობამ, ხოლო რუისის კოლმეურნეობებს უხარისხო მარცვლეული შემდეგაც შიოქვთ. ბრეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მიერ 12 აგვისტოს მიტანილ 2 ურემ ჯიშიან მარცვლეულში ყოველ 100 კილოგრამში 8 კილოგრამი ნაგავი იყო.

ზოგიერთი კოლმეურნეობა აგვიანებს მარცვლეულის ჩაბარებას, თუმცა მოსავალი აღებული აქვს. სოფ. ცერონისის კოლმეურნეობა „აღორძინებას“ 8-დან 14 აგვისტომდე საწყობში არ მიუტანია არცერთი კილოგრამი მარცვლეული, ჩაბარების ვალდებულება დაწესებული ვადისათვის მხოლოდ 48,5 პროცენტით შესრულა. ასევე ჩამორჩნენ მარცვლეულის ჩაბარებაში სოფ. ბრეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა და რუისის უკანა უბნის კოლმეურნეობა „შრომა“, რუისის გალავნის კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრება“.

პურის მიმღები პუნქტის მუშაობის სანიმუშოდ დაყენ

ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲓᲐᲕᲔᲜᲐᲠᲒᲝᲗ ᲡᲔᲛᲘᲕᲝᲚᲝᲡᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲘ

ᲒᲧᲘᲑᲣᲚᲘᲡ ᲛᲐᲚᲐᲠᲝᲑᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲐᲮᲢᲔᲑᲨᲘ

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ, 20 აგვისტო („კომუნისტის“ საკ. კორ.). მაღაროებსა და შახტებში ეკონომიან საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის ბიუროს დადგენილებას „ტყიბულის მაღაროებსა და შახტებში სემიეოლოსის შრომის ახალი მეთოდით მუშაობის დანერგვის შესახებ“ და გაზეთ „კომუნისტის“ 13 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ ბ. თოდიძის წერილს „ჩემი გამოცდილება სემიეოლოსის მეთოდით მუშაობაში“.

სემიეოლოსის მეთოდით მრავალ სანგრევში მომუშავეთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდება და ამის პარალელურად მატულობს ქვანახშირის ამოღება და სამთო მოსამზადებელი სამუშაოების წარმოება.

დასავლეთ შახტის მეოთხე უბანი (უფროსი ინქ. ლ. კობეშავიძე) მთლიანად მრავალსანგრევონსებისაგან შესდგება. მაგალითად, ნ. კრახმალიო

და შ. ფურცხვანიძე, რომლებიც სემიეოლოსის მეთოდით მუშაობამდე ამავე უბანში აგვისტოს პირველ დეკადაში თითო-თითო სანგრევში მუშაობდნენ და ნორმას საშუალოდ 83,5 პროცენტით ასრულებდნენ, მეორე დეკადაში თითო ოთხ სანგრევში მუშაობს და ყოველდღიურად 3-4 ნორმას იძლევა. მაგალითად, 15 აგვისტოს კრახმალიოვმა და ფურცხვანიძემ 13 მეტრი და 20 სანტიმეტრი წინსვლა მოგვცეს, რითაც თითომ 550 პროცენტით შეასრულა ნორმა. ამის შედეგია, რომ დასავლეთი შახტი სანგრევი ხაზის წინსვლის გეგმას სემიეოლოსის მეთოდით მუშობის დღეებში 138-დან 146 პროცენტამდე ასრულებს. აგვისტოს პირველ ხუთდღიურში კი მოსამზადებელი სამუშაოების გეგმას შახტი 60-70 პროცენტით ასრულებდა. ამასთან ქვანახშირის ამოღებაც შესამჩნევად გაიზარდა.

სტალინის სახელობის მაღაროში (უფროსი ნ. კვინიხიძე) სყრიოზულად მოჰკიდეს ხელი სემიეოლოსის მეთოდით მუშაობას. მეორე საექსპლოატაციო უბანში 5-7 სანგრევში მუშაობით თავი გამოიჩინეს ამხ. ს. ლანჩავამ, ს. რიკამაძემ და ი. კუბლაშვილმა, ხოლო მესამე საექსპლოატაციო უბანში—თ. ნანიკაშვილმა, კ. დალალიშვილმა და ა. ქათამაძემ. ესენი ყველანი სულ ცოტა ოთხ-ოთხ ნორმას იძლევიან ყოველდღიურად.

ამის შედეგია, რომ სტალინის სახელობის მაღაროს სარეკორდო მაჩვენებლებით ასრულებს სანგრევი ხაზის წინსვლის ყოველდღიური გეგმას. ამ მაღაროს აგვისტოს 15 დღეში 179 მეტრით წასწია წინ სანგრევი ხაზი და გეგმა 225 პროცენტით შეასრულა. ქვანახშირის ამოღებამაც დღეღამეში 10-12 პროცენტით იმატა.

ლენინის სახელობის მაღაროს, ინარჩუნებს რა ტყიბულქვანახშირის ტრესტის გარდამავალ დროშას, ყოველდღიურად მეტსა და მეტ ქვანახშირს იძლევა. აგვისტოს 18 დღეში ლენინის მაღაროს 541 ტონა ქვანახშირი ჰქონდა გეგმის ზევით ამოღებული. 19 აგვისტოს მაღაროს მოგვცა სარეკორდო მაჩვენებელი: დღიური დავალება შეასრულა 127,2 პროცენტით. ამ დღეს სემიეოლოსელმა ამხ. ბ. თოდიძემ 7 სანგრევში მუშაობით ისახელა თავი.

სემიეოლოსის მეთოდით მუშაობის დღეებში სანგრევი ხაზის წინსვლის დავალებას არა მარტო შახტები და მაღაროები ასრულებენ გადაჭარბებით, არამედ მოლიანად ტრესტიც. 19 აგვისტოს ტრესტმა მიმდინარე წლის განმავლობაში პირველად მიაღწია ქვანახშირის ამოღების სადღეღამისო დავალების მთლიანად შესრულებას.

დ. საგელაშვილი

ᲐᲚᲕᲖᲐᲠᲓᲝᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲣᲨᲔᲑᲘ

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ („კომუნისტის“ საკ. კორ.). ჭიათურის მარგანეცის მაღაროებში ასეულობით ახალი მუშა მოვიდა. მათი აღზრდა და კვალიფიკაციის ამაღლება პირველი რიგის ამოცანაა. უამისოდ ლაპარაკიც არ შეიძლება მარგანეცის გამოღების გეგმების შესრულებაზე. მაღაროებში ახალმოსულ მუშათა მასობრივი კვალიფიკაციების დაუფლების საკითხზე ამ დღეებში იმსჯელა საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის ქალაქკომის ბიურომ. მაღაროებში უკვე გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები. სტალინის სახელობის მაღაროში 20 ჯგუფი დაკომპლექტდა. საყელავ მანქანაზე, მომნგრევ ჩაქუჩებზე, ელმავლებზე მუშაობას, აწმენდას, მებიგეობას, მბურღობას, მადნის გამოიდრეკას სწავლობს 300-ზე მეტი ახალმოსული ახალგაზრდა მუშა, მათ ახალ პროფესიებს ასწავლიან ისეთი გამოცდილი სპეციალისტები, როგორც ამხ. ლ. ჯგინორიძე, ქ. კახიანი, შ. რიეამაძე, ალ. პავლენკო, ბ. ქარქაშაძე, გ. ნოზაძე და სხვ. ფართოდ იყენებენ ინდივიდუალური სწავლების მეთოდსაც. საყელავი მანქანის მემანქანე ალ. პავლენკო მანქანის მართვას ასწავლის ი. ჩუნოვსკის. გამოცდილმა მბურღავმა ს. სერგეევმა იკისრა ბურღვა შეასწავლოს ორ ახალგაზრდას. მაღაროში არიან აგრეთვე ძველი მუშები ამწმენდები ვ. კაპანაძე, გ. კუსიანი, მებიგეები ბ. გელბახიანი, ი. ხეედელიძე, მ. დევიძე, ელექტრომავლის მემანქანეები ს. წერეთელი, კ. კილაძე. მათ მდიდარი საწარმოო გამოცდილება გააჩნიათ. მაღაროს ორგანიზაციებმა მათი მრავალწლოვანი გამოცდილება ახალმოსულთა კუთვნილებად უნდა გახადონ.

ბევრი ახალი მუშა მოვიდა აგრეთვე ორჯონიკიძის, ლენინისა და კაგანოვიჩის სახელობის მაღაროებში. ახალგაზრდები რ. გურული, დ. მირიტაძე ახლახან მოვიდნენ მაღაროში, მაგრამ უკვე დაეუფლნენ მარგანეცის აწმენდას. ახალმოსულები ტ. მირიტაძე და გ. გურული დაეუფლნენ ისეთ რთულ და მძიმე სამუშაოს, როგორც მემუხრუჭეობაა. ამავე პროფესიას დაეუფლნენ ქალები მ. თაბაგარი, ს. მეცხოვრიშვილი, შ. ჩიტაძე, ელ. სიკინჭალაშვილი, გ. თაბაგარი.

ჭიათურაში ჯერჯერობით ნაკლები ყურადღება ექცევა სახელგანთქმული მნგრეველის, სტალინური პრემიის ლაურეატის ა. სემიეოლოსის მეთოდით მუშაობას. მართალია ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს ამწმენდები ორდენონსები ჰ. ბოყოველი და ჰ. მირიტაძე, ამწმენდები ან. გაფრინდაშვილი და კ. თაბაგარი ორ-სამ სანგრევზე მუშაობენ, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ჯერ ერთი, მათ შეუძლიათ 4-5 და მეტ სანგრევზე იმუშაონ და მეორეც—ან ბევრია ისეთი ამწმენდი, რომელსაც შეუძლია მრავალ სანგრევზე მუშაობა. მათ უნდა შეეუქმნათ მრავალ სანგრევზე მუშაობის ყველა პირობა.

ახლა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გულმოდგინედ აღვზარდოთ ახალმოსული მუშები, ფართოდ დავნერგოთ მრავალსანგრევზე მუშაობა.

ჰ. ᲭᲘᲝᲙᲐᲫᲔ

„ᲡᲝᲘᲣᲖᲕᲖᲠᲘᲕᲠᲝᲛᲘᲡ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲯᲔᲑᲐ

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და სსრ კავშირის საშინ მასალათა სახალხო კომისარიატმა, განიხილეს რა სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1943 წლის ივლისის შედეგები, გამარჯვებულად სცნეს მთელი რიგი საწარმოები, რომელთაც გადაეცათ გარდამავალი წითელი დროშები და პრემიები. მათ შორის პრემია მიეცა ტრესტ „სოიუზვზრივპრომის“ საქართველოს რესპუბლიკურ სამმართველოს (დირექტორი ამხ. მაღალაშვილი).

ᲒᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲝᲜᲡᲔᲠᲕᲝ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐ

ᲒᲝᲠᲘ („კომუნისტის“ საკ. კორ.). მიმდინარე წლის ივლისის საწარმოო გეგმების 250 პროცენტით შესრულებისათვის გორის საკონსერვო ქარხანამ (დირექტორი ამხ. პ. საყვარელიძე) მიიღო საქონსერვხილტრესტის გარდამავალი წითელი დროშა.

ქარხნის კოლექტივი წარმატებით იბრძვის აგვისტოს საწარმოო დავალებათა შესასრულებლად. 21 აგვისტოსათვის ქარხნის კოლექტივმა უკვე 101 პროცენტით შეასრულა კიტრის დაწნილების თვიური დავალება.

შ. ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ

ᲡᲐᲮᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲐᲑᲐᲨᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობამ და საფინანსო-საბანკო მუშაკთა პროფესიული კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა, შეაჯამეს რა სახბანკის კანტორებისა და განყოფილებების სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მეორე კვარტალის შედეგები, სხვა გამარჯვებულ განყოფილებათა შორის მეორე ადგილი მიაკუთვნეს სახბანკის აბაშის განყოფილებას (განყოფილების მმართველი ამხ. შ. ტყიბუჩავა), რომელსაც გადაეცა აგრეთვე ფულადი პრემია 20.000 მანეთის რაოდენობით. სახბანკის აბაშის განყოფილებას დაუტოვეს აგრეთვე პირველ კვარტალში კარგი მუშაობისათვის მიღებული სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის და საფინანსო-საბანკო მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲗᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ ᲓᲐᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲔᲑᲔᲚ ᲑᲐᲜᲐᲙᲔᲑᲨᲘ

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ („კომუნისტის“ საკ. კორ.). ჭიათურის მახლობლად, სოფ. პერეგისში მოეწყო მაღაროელთა და ფრონტელთა ბავშვების დასასვენებელი ბანაკი. ფრონტელთა და მაღაროელთა ბავშვები უზრუნველყოფილი არიან კარგი კვებით, გართობით. ისინი აწყობენ თვითმოქმედი წრეების გამოსვლებს, მხატვრულ კითხვას, ატარებენ ფიზკულტურულ შეჯიბრებებს. ბანაკში უკვე დაისვენა 90 ბავშვმა. სულ დაისვენებს 150 ბავშვი. ფრონტელთა ბავშვების დასასვენებელი ბანაკი მოწყობილია აგრეთვე სოფ. კაცხში.

პ. ᲭᲘᲝᲙᲐᲫᲔ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲔᲜ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲡ „ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲡᲐᲥᲡᲝᲕ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐᲨᲘ

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ ტექნიკური მუშაკები გულდასმით სწავლობენ ამხანაგ სტალინის წიგნს „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“. ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ წინასწარ შეისწავლა წრეში მეცადინეობის მსურველთა რაოდენობა. ამის საფუძველზე ჩამოყალიბდა ორი წრე, მათგან ერთი კომკავშირულ ორგანიზაციასთან. წრეებში გაერთიანებული არიან მუშები—მქსოველები მბეველები, მემას

-ები, ისინი, რომლებიც თავდადებულად მუშაობენ ფრონტისა და ჩვენი ქვეყნისათვის რაც შეიძლება მეტი, მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოსაშვებად. წრეებს პროპაგანდისტები დოც. გ. მეგრელაშვილი და საქ. თბილისის ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი ამხ. ა. ფარულავა ხელმძღვანელობენ. მეცადინეობის დღეები ზუსტად რის განსაზღვრული. პირველი მეცადინეობა უკვე ჩატარდა. მეცადინეობას ყველა მსმენელი ესწრებოდა, საუბრები გულდასმით იქნა მოსმენილი.

ფაბრიკის კოლექტივის უმრავლესობა—ინჟინერ-ტექნიკოსები, საამქროთა უფროსები და ოსტატები ამხანაგ სტალინის წიგნს დამოუკიდებლად სწავლობენ. პარტიული ორგანიზაცია მათ საჭირო ლიტერატურით დაეხმარა. პარტკაბინეტში მოწყობილია ლიტერატურის გამოფენა პირველი თემისათვის. გამოფენაზე წარმოდგენილია ამხანაგ სტალინის წიგნი, ამხ. მოლოტოვის გამოსვლა რადიოთი, ბროშურები, სავაზეთო და საჟურნალო სტატიები. ამ ლიტერატურით სარგებლობენ როგორც წრეში გაერთიანებული ამხანაგები, ისე დამოუკიდებლად შემსწავლელნიც.

ამხანაგ სტალინის წიგნის ღრმად შესწავლის მიზნით ფაბრიკაში პერიოდულად ჩატარდება მოხსენებები, ლექციები და კონსულტაციები.

ᲬᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲐᲖᲔ

სამტრესტის კონიაკის № 4 ქარხნის პარტორგანიზაცია ყოველმხრივ ეხმარება ამხანაგ სტალინის, წიგნის შემსწავლელთ ლიტერატურის მიწოდებით და კონსულტაციით. მუშა-მოსამსახურეთა და სპეციალისტთა ნაწილმა წრეში მეცადინეობის სურვილი გამოთქვა. პარტორგანიზაციამ დააკომპლექტა წრე მსმენელთა კონტინგენტის საერთო მომზადების დონის მიხედვით. 20 კაცი გაერთიანებულია ამხანაგ სტალინის წიგნის შემსწავლელ წრეში. გამოყოფილია წრის სამეცადინო დღეები.

18 აგვისტოს ჩატარდა პირველი მეცადინეობა. პროპაგანდისტად საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მეცადინეობაში. ეზრი გამოსთქვეს ამხანაგებმა ი. ხარაბაძემ, პ. სარაჯიშვილმა და გ. კეკენაშვილმა. პირველი მეცადინეობა ნაყოფიერი იყო.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, 21 აგვისტო. ბათუმის პარტიული აქტივის სემინარი შეუდგა ამხანაგ სტალინის წიგნის—„საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ შესწავლას. სემინარის სამუშაო გეგმაშია ლექციები თემებზე: „ლენინი და სტალინი სამშობლოს დაცვის შესახებ“, „კრიზისი ფაშისტურ ბანაკში“, „საბრძოლო კავშირის განმტკიცება სსრ კავშირსა, ინგლისსა და ამერიკას შორის“. მეცადინეობის, პირველ დღეს ლექტორმა ამხ. სტამბოლიშვილმა პარტიულ აქტივს წაუკითხა ლექცია—„ლენინი და სტალინი სამშობლოს დაცვის შესახებ“.

ქალაქის საწარმოებსა და დაწესებულებებში ყალიბდება წრეები ამხანაგ სტალინის წიგნის შესასწავლად. (საქდესი).

ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲒᲘᲢᲐᲪᲘᲐ ᲣᲮᲕᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში აგიტატორები ფართო ახსნა-განმარტებითს მუშაობას ეწევიან მინდვრის სამუშაოთა მაღალხარისხოვნად და შემჭიდროებულ ვადებში შესრულებისათვის.

რაიონის კოლმეურნეობათა მემინდვრეობის ყველა ბრიგადაში გამოყოფილი არიან აგიტატორები, რომლებიც კოლმეურნეებთან ერთად შრომობენ საკოლმეურნეო კვებების შესრულებისათვის. სოფ. განახლების ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის მე-5 ბრიგადის აგიტატორი ნათელა ძიძიგური ბრიგადაში სტახანოვურად მუშაობასთან ერთად იხმარება ბრიგადის შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში. ივლისის პირველ დღეებში ამ ბრიგადის ზოგიერთი წევრი უმიზეზოდ აკადენდა სამუშაო დღეებს, ეს მდგომარეობა აგიტატორმა შეამოწმა, გამოაქვეყნა წერილი ბრიგადის საველე გაზეთში, ჩაატარა საუბარი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შრომობდნენ კოლმეურნეები ახლა, „სამამულო ომის დღეებში. ამჟამად ბრიგადის ყველა წევრი გამოდის სამუშაოდ და ჩაის კრეფის ვეგმებს წარმატებით ასრულებს.

აგიტატორები მოწინავეთა გამოცდილებას აცნობენ თითოეულ კოლმეურნეს, რითაც აღწევენ კოლმეურნე სტახანოველთა რიგების ზრდას. ნატანების ლ. პ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი მეფალოსანი ლიუდი ხურციძე ჩაის ფოთლის კრეფის მაღალ რეკორდებს ამყარებს. 16 ივლისს მან 2.300 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მიაკრიფა, ეს ფაქტი მხედველობიდან არ გამორჩათ აგიტატორებს. თვითონ ამ ბრიგადის აგიტატორმა შურა კვაშანტირაძემ მოაწყო მოწინავე სტახანოველის ლ. ხურციძის საუბარი ჟკრეფავებთან, თუ რა მეთოდით ჰკრეფდა იგი ჩაის ფოთოლს. ამ ბრიგადაში ახლა ჩაის კრეფის მაღალი მაჩვენებლები აქვთ. აგიტატორები თავიანთ მუშაობაში იყენებენ მიწერ-მოწერას ფრონტელებსა და კოლმეურნეებს შორის. ბრიგადებში კითხულობენ ფრონტზე წასულ სახელოვან მებრძოლთა წერილებს. ატარებენ სამამულო ომის მონაწილეთა „საუბრებს კოლმეურნეებთან. გურიანთის ფ. ხარაძის სახელობის კოლმეურნეობაში სამამულო ომის სახელოვანი მონაწილის ორდენონს. სან ვასო კვაშანტირაძის წერილი მიიღეს. მებრძოლი სწერდა თანასოფლელებს, თუ როგორ გახდა იგი სნაიპერი და როგორ მოსპო 72-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სახელოვანი მებრძოლი კვაშანტირაძე კოლმეურნეებს მოუწოდებდა საკოლმეურნო მინდვრებზე სტახანოვური შრომით დაეხმარონ სამშობლოს ფაშისტ დამპყრობთა განადგურების საქმეში.

საკოლმეურნეო პარტორგანიზაციასთან არსებულმა აგიტკოლექტივის ხელმძღვანელმა თ. სალუქვაძემ ბრიგადებში მომუშავე 18 აგიტატორს გადასცა სახელოვანი მებრძოლთა წერილის ასლი, იგი ყველა კოლმეურნეს გაეცნეს, რამაც კოლმეურნეობაში ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. საპასუხო წერილში კოლმეურნეებმა სიტყვა მისცეს სახელოვან მებრძოლს, რომ კიდევ უფრო მეტი თავდადებით იშრომებენ საკოლმეურნეო მინდვრებზე. ნაკისრი ვალდებულება გურიანთელმა კოლმეურნეებმა მართლაც წარმატებით შეასრულეს და რაიონული გარდამავალი დროშა მიიღეს.

აგიტატორმა ნინო ლომთათიძემ ჩაატარა საუბრები ამავე რაიონის მკვიდრ მცხოვრებლების გენერალ ლეიტენანტ კ. ნ. ლესელიძის, გენერალ მაიორ პ. გ. ჩანჩიბაძის და სამამულო ომის სხვა სახელოვან მებრძოლთა შესახებ. ერთ-ერთი ასეთი საუბრის დროს ჩაის მკრეფავმა, სმი ფრონტელის დედამ ლიუდი კომახიძემ იკისრა ვალდებულება გადაჭარბებით შეასრულოს ჩაის ფოთლის კრეფის ყოველდღიური დავალება. იგი ამ დაპირებას პირნათლად ასრულებს.

საგიტაციო-მასობრივ მუშაობაში გამოყენებულია სასოფლო კლუბები, რომელთა რიცხვი რაიონში 15-ს აღწევს, და სასოფლო ბიბლიოთეკები. რადიოფიცირებულია უმეტესი კოლმეურნეობები. სანიმშოდ მუშაობს ასკანის სასოფლო კლუბი (გამგე დ. სირაძე), თესვის კამპანიის დღეებში კლუბმა ჩაატარა 25 ლექცია, 949 საუბარი, მხატვრული კითხვის 50 საღამო. კლუბთან არსებობს აგრომინიმუმის შემსწავლელი, სახიერი, დრამატიული, ლიტერატურული, მუსიკალური და სხვა წრეები.

მაგრამ რაიონის ზოგ კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას საავიტაციო მუშაობა. სილაურის კოლმეურნეობაში, რომელიც ჩამორჩენილია სასოფლო-სამეურნეო გეგმების შესრულებაში, აგიტატორები უმოქმედობას იჩენენ. მაგალითად, მე-9 ბრიგადაში აგიტატორად გაგზავნილია ამავე სოფლის სკოლის დირექტორი დ. დოლიძე, რომელიც თვეში ერთხელ თუ გაიცლის თავის საგიტაციო უბანში. აქ სამკითხველო ცუდად მუშაობს, ვერ მოაწყვეს საგიტაციო დაფა და სხვ.

ამჟამად, როცა რაიონში გაცხოველებით მიმდინარეობს ჩაის კრეფა და ციტრუსოვანთა ნარგავების მოვლა, გაშლილია პრძოლა უხვი მოსავლის მისაღებად, უნდა მივაღწიოთ, რომ ყველა კოლმეურნეობაში საბჭოთა მეურნეობაში, საკოლმეურნეო ბრიგადაში სათანადო სიმაღლეზე დავაყენოთ ბოლშევიკური აგიტაცია

ლ. ᲚᲝᲚᲐᲫᲔ

ᲬᲘᲒᲜᲘ ᲤᲠᲝᲜᲢᲔᲚᲔᲑᲡ!

ᲛᲝᲐᲬᲧᲝᲗ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲒᲠᲝᲕᲔᲑᲐ ᲛᲔᲒᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ამ დღეებში წითელარმიელი გაზეთის რედაქციაში მოვიდა ექიმი ამხ. გ. ტაბატაძე და მთხოვა დახმარება:

— რამე წიგნი გეძღვნებათ ქართულ ენაზე. სამკურნალოდ მოსული მებრძოლები ითხოვენ მხატვრულ ლიტერატურას.

რედაქციის პატარა ბიბლიოთეკა გადავსებულია და ქართული წიგნებიდან შემონახული აღმოვაჩინდა გერონტი ქიქოძის „ერეკლე მეორე“ და ოსიპოვის „სუვოროვი“. საველე სტაციონარში აღნიშნული წიგნები ხელიდან ხელში გადადიოდა. მაგრამ შეუძლებელი იყო ქართველ მებრძოლთა გაზრდილ მოთხოვნილების დაკმაყოფილება ორი წიგნით.

განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა მხატვრულ ლიტერატურაზე. მებრძოლები მოითხოვენ ისტორიულ წიგნებს—გიორგი სააკაძის, ერეკლე მეორის, ბაგრატიონის და სხვა გამოჩენილ ქართველ მეომართა შესახებ, აგრეთვე თანამედროვე თავდაცვითი ლიტერატურის ნიმუშებს.

ზურგს შეუძლია თუ არა ამ საქმეში დახმარება გაუწიოს ფრონტს? შეუძლია და ვალდებულიც არის.

ამ მხრივ ბევრი რამის გაკეთება შეუძლია ჩვენს ახალგაზრდობას, განსაკუთრებით კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებს.

აბა წარმოიდგინეთ, რა დიდძალ ლიტერატურას მიიღებს ფრონტი, თუ თითოეული კულტურული ადამიანი. რომელსაც მცირე ბიბლიოთეკა აქვს, ჩვენთვის გაიღებს ერთ-ორ წიგნს!

ოგორორ შეეძლება ამას გაკეთება? — ეს ალბათ ... ...